№ 10/00019 "9" 01 2017

საბანკო გარანტია #5398-01/17

გარანტი:	სს „ბანკი ქართუ" (ს/კ 204891652)
ბენეფიციარი:	სსიპ "საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო" ს/კ 204522793
პრინციპალი:	შპს "ელიტა ბურჯი" (ს/კ 206120437)
თანხა:	52,062.00 (ორმოცდათორმეტი ათას სამოცდაორი და 00/100) ლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #11/167 (შემდგომში „ხელშეკრულება"), ქალაქ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამთავრობო გასასვლელისათვის ავეჯის დამზადება-მონტაჟზე, ხელშეკრულების პირობების თანახმად, პრინციპალის სახელშეკრულებო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ბენეფიციარის მიერ მოთხოვნილია საბანკო გარანტია მთლიანი სახელშეკრულებო თანხის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და პრინციპალის თხოვნით, ჩვენ, სს „ბანკი ქართუ" (შემდგომში „გარანტი"), ვკისრულობთ უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას ყოველგვარი დაგვიანების გარეშე, ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის მიღების თარიღიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, გადავიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც (რომლებიც) ჯამში არ აღემატება

52,062.00 (ორმოცდათორმეტი ათას სამოცდაორი და 00/100) ლარს.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, მოთხოვნილი თანხის (სიტყვიერად და ციფრობრივად) და ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტების მითითებით, სადაც აღწერილი იქნება პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების ფაქტი ან ფაქტები. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს: ა) წინამდებარე საბანკო გარანტიის ასლი; ბ) მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაშია **2017 წლის 1 ივნისის ჩათვლით.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადახდო მოთხოვნის ორიგინალი წარდგენილი უნდა იყოს გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: ს.ს. „ბანკი ქართუ", ილ. ჭავჭავაძის გამზ. #39ა, 0162 თბილისი, საქართველო.

საბანკო გარანტიის თანხა ავტომატურად შემცირდება: ა) გარანტის მიერ ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის საფუძველზე გადახდილი თანხების ოდენობით; ბ) ბენეფიციარის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად გაუქმდება: ა) ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე წერილობითი უარის წარმოდგენისა და/ან გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით გარანტისათვის; ბ) საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.

ბენეფიციარის მოთხოვნის უფლების გადაცემა მესამე პირზე შესაძლებელია მხოლოდ გარანტის თანხმობით.

საბანკო გარანტიის გარშემო წარმოქმნილი ნებისმიერი დავის გადაჭრა მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

ზურაბ გოგუა

კომერციული დირექტორი

CARTU BANK 204891652

სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო
შევ. № 8/1-3
9 01 2017 წ.